№ 382. ოთხშაბათი, 26 ნოემბერი. 1896—1897 ოთხშაბათი, 26 ნოემბერი, № 382.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4, მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ხელის-მოწერა
დამდეგის 1898 წლისათვის
„ცნობის ფურცელზე“.
ОРЕНАРЪ

ვინც გაზეთს ამ თავითვე დაიკვეთავს დამდეგის წლისთვის, იმას გაზეთი უფასოდ მიუვა ამ წლის დამლევამდე

„ცნობის ფურცელი“

1898 წელს გამოვა უფრო ვრცელის შინაარსით და მრავალის ცნობებით საქართველოს ყველა კუთხიდან „ცნობის ფურცელი“ ერთად-ერთი ყოველ-დღიური გაზეთია, რომელიც სიიაფისა გამო ყველასათვის ხელ-მისაწდომია დიდი უპირატესობაა აგრეთვე ის გარემოება, რომ გაზეთი გამოდის ყოველ-დღე კვირა-უქმეების შემდეგაც.

წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვინც გაზეთს წლიურად დაიკვეთავს, იმას უსასყიდლოდ გაეგზავნება

კედლის კალენდარი 1898 წლისათვის

სურათებიანი და მშვენიერს ქაღალდზე დაბეჭდილი სხვა-და-სხვა ფერადებით

სამაგალითო და ძვირფასი ნობათი

«ცნობის ფურცლის» რედაქციამ შეიძინა უფლება და დამდეგს 1898 წელს გამოსცემს ჩვენის ახალგაზდა ნიჭიერის მწერლის

შიო არაგვისპირელის

სრულს თხზულებათ

ავტორის სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და ბ-ნ ტასიაშვილის კრიტიკულის განხილვით

წიგნში მოთავსებული იქნება ოცზე მეტი სხვა-და-სხვა საუკეთესო მოთხრობები, დაწერილი 1898 წლამდე

წიგნი იქნება მშვენიერს ქაღალდზე დასტამბული, დიდის ზომისა და 300 გვერდზე მეტი

გაზეთის ფასი: წლიურად ყველა ნობათებით 6 მ. ნახევარის წლით 4 მ. ერთის თვით 60 კ. ცალკე ნომერი 3 კ.

შეღავათიან ხელის-მომწერთათვის

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც წლიურ ფასის სრულად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის-მოწერის დროს 2 მ. წარმოადგინონ და მერე ყოველ თვე და თვე თვითო მანათი, ვიდრე წლის ფასს შეასრულებდნენ.

საჭირო შენიშვნა. წრევანდელი ხელის მომწერთა, თუ მოისურვებენ დამდეგის 1898 წლისათვის გაზეთის დაკვეთას, უნდა დროისით შეატყობინონ რედაქციას და თან გამოგზავნონ დაბეჭდილი ადრესი, რომლითაც «ცნობის ფურცელი» ეგზავნებოდათ, რათა დროზედ მიუვიდეთ გაზეთი, თორემ ადრესების ბეჭდვა ფოსტისათვის და სხვა მრავალი წვრილმანი საქმენი, აუცილებელნი ხელის მოწერის მიღების დროს, აფერხებენ გაზეთის დროზედ გაგზავნას.

პირველ იანვრიდგან გაზეთი მხოლოდ იმას მიუვა, ვინც დეკემბერშივე გამოაცხადებს თავის სურვილს გაზეთის გამოწერაზე.

ადრესი გაზეთის დასაკვეთად: *Тифлисъ*, Газета „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“.

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

ფაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და სხვა სისქისა და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია

უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.

მსურველთ შეუძლიათ ქარხანასმიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—253)

გამოვიდა
ახალი ქართული წიგნი

ივდითი

ტრაგედია ხუთ მოქმედებად
ჯიაკომეტისა
თარგმანი ივ. მაჩაბელისა (?)
ფასი 30 კაპ. (15—1)

ექიმი

ჭ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს

ბენეფისი ვას. ა. აბაშიძისა

ქართულ დრამატიულ დასისაგან ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ჩემს ცოლს ვეყრები

კომ. 3 მოქმ. გადმოქართ. ვ. აბაშიძის მიერ
მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდამ

ხანუმა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორი კ. მესხი.

გამგეობა თბილისის ცხენის რკინის გზის

ბელგიელთა საზოგადოებისა

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ პირველ დეკემბრიდან ვაგონებს თბილისის ტრამვაისა შეაჩერებენ მხოლოდ იმ ადგილებზე, რომელიც მოწონებულია ქალაქის გამგეობისაგან და აღნიშნულია ბოძებით ზედ წარწერით:

О. Т. Ж. Д.

მივიღებთ-რა მხედველობაში, რომ სანამდისინ საზოგადოება შეეჩვევა ამ ახალ წესს, მოუნდება რამოდენიმე დრო და აუცილებლად ყოველისავე გაუგებრობისა ამ შემთხვევაში, გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რო ვაგონები მოგზაურების მისაღებად ჩერდებოდნენ უწინდებურად.

(3—1)

კვირას, 30 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია

საგანგებო კრება

ქართველთა სესხ-მიცემი ამხანაგობის

„მუამავალისას“

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, ფრეილინის ქუჩაზე. წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ მოწვევის ბარათები.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა.

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექიმი ქალი რუდენკო 10½—11½ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყურის ყვავილს.

ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11½—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.

ი. ფ. ბრონტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.

ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

საღამოობით

ა. მ. ზუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანცი 6—6½ ს.

ა. ნ. შჩაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ზედაკანის ავად.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნაღველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერგატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. ო. კობანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და ბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.

Лѣчебница С. З. Топурія въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

⁂ **დიდის მთავრის მემკვიდრე ცესარევიჩის დღეობა.** დღეს, დიდის მთავრის და მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სახელწოდების გამო, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმერი თავისს ეკკლესიაში გადაიხდის წირვას და წირვის შემდეგ პარაკლისს. წირვა ეგზარხოსის ეკკლესიაში დაიწყება დილით, 10 საათზე.

დღესვე წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გადახდილ იქმნება წირვა და წირვის შემდეგ ტაძრის მოედანზე გადაიხდიან პარაკლისს და ჯარებს მიულოცავენ დღესასწაულს. პარაკლისს შემდეგ მთავარ მართებლის სასახლეში საუზმეზე მიიპატიჟებენ იმათ, ვისაც წმ. გიორგის სამხედრო ჯვარი ანუ ოქროს იარაღი აქვსთ ნაბოძები.

⁂ **თავ. მუხრან ბატონის და პლიუშჩევსკის საქმე.** გუშინ ოლქის სასამართლოში დანიშნულ იყო ცნობილი საქმე პლიუშჩევსკისა და თავ. კ. ი. მუხრან ბატონისა. მუხრან-ბატონის ვექილმა ირაკლი ალექსანდრეს ძე გუნცაძემ პირ და პირ გამოაცხადა, რომ პლიუშჩევსკის მიერ წარმოდგენილი საბუთები ყალბია და გთხოვთ საქმე გამომძიებელს გადაეცესო, ხოლო ამავე სასამართლომ უპასუხა: თქვენ თქვენის მრწუნებულისაგან არა გაქვთ უფლება სიყალბეში გამტყუნოთ მოპირდაპირეო და მიტომ საჭიროა, თვით მუხრან-ბატონმა აღიაროს, რომ იგი სიყალბეში ამტყუვნებს მოდავესო. მაშინათვე გაგზავნეს თავ. კ. ი. მუხრან-ბატონთან, რომელიც მალე მოვიდა სასამართლოში და აღიარა, მე პლიუშჩევსკის მიერ წარმოდგენილი საბუთები ყალბად მიმაჩნიაო. ამის შემდეგ სასამართლომ დაადგინა სამოქალაქობრივი დავა ჯერ მოისპოს და საქმე პროკურორს გადაეცესო.

⁂ **ქალაქის წიგნთ-საცავი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაურთავს ტფილისის თვით მმართველობისათვის გახსნას «ქალაქის წიგნთ-საცავი». ეს ნება-რთვა ბ. ტფილისის გუბერნატორს უკვე უცნობებია ქალაქის გამგეობისათვის.

⁂ **ნოტარიუსების გამო.** გაზეთებიდამ ამოვიკითხეთ, რომ ეხლანდელი ნოტარიუსების მაგივრად დანიშნულ იქმნებიან სახელმწიფო მოხელენი და დაენიშნებათ ჯამაგირები. ხოლო ნოტარიული შემოსავალი სახელმწიფოდ წავა.

⁂ **ჯარის-კაცთა გაყვანის შესახებ.** ახალი წეს-რიგი გამოსულა სამხედრო სამსახურში ჯარის კაცად გაყვანისა. ამ წესის ძალით, თუ — სამსახურში გასაყვანი ახალგაზდა ჯან მრთელია და კარგის აგებულებისა, მაშინ გულ მკერდის სივიწროვე არ აბრკოლებს მისს გაყვანას, აქნობამდე კი ამ საგანს დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული და პატარა გულ მკერდიანი ყმაწვილი კაცები აღარ გაჰყავდათ ჯარში.

⁂ **ქუთაისსა და ერევანში სახაზინო პალატების გამო.** ფინანსთა სამინისტროს გადაუდვია ჯერ-ჯერობით ქუთაისსა და ერევანში სახაზინო პალატების გახსნის საქმე, რადგან დიდ ძალი ხარჯი იქმნება ამისათვის საჭიროვო. ხოლო ამასთანავე სამინისტროს მოუთხოვნია ტფილისის სახაზინო პალატის მმართველისაგან გეგმა პალატის მოხელეთა რიცხვის მომატებისა და ამასთანავე ისიც გვაცნობეთო, თუ როგორ აჯილდოებთ პალატის იმ მოხელეთ, რომელნიც დანიშნულზედ მეტს დროს მუშაობენო.

⁂ **პურის ნიხრი.** გუშინწინ ქალაქის საბჭომ შემდეგი ნიხრი დასდო პურზე: ფურნის: პირველი ხარისხისა—4 კაპ. (5 კაპ. მაგივრად), მეორე ხარისხისა—$3^{1}/_{2}$ კაპ. (ძველი ნიხრი) და მესამე ხარისხისა—3 კაპ. ($2^{1}/_{2}$ კაპ. მაგივრად). თონის პური ყველა ხარისხისა ნახევარის კაპეიკით უფრო ძვირად გაიყიდოს, ვიდრე ფურნის პური.

⁂ **ღორის ხორცის ნიხრი.** გუშინწინ, ქალაქის საბჭომ, როგორც იქმნა, ნიხრი დასდო ღორის ხორცზე—5 კაპ. გირვანქა. აქნობამდე ნიხრი არ იყო დანიშნული და 8—10 კაპ. ჰყიდდნენ გირვანქას.

⁂ **ელექტრონის სინათლე ტფილისში** შესაძლოა მალე შემოიღონ, რადგან, როგორც ამბობენ, ქალაქის გამგეობას ჰკუაში დასჯდომია ერთის საფრანგეთის კომპანიის წინადადება, რომელიც თურმე ქალაქისათვის ძრიელ სახეიროა.

⁂ **კიდევ ჩილინგარიანის ბავშვის დატანჯვის შესახებ.** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ ატყობინებენ ბათომიდამ, რომ ბეი-ქურთიანი, ოვ. მეგავორიანი და გრ. არაქელიანი ერთად შეუპრყრიათ და ბეი ქურდიანმა, თურმე, უსაყვედურა იმათ: «რა მიყავით ეგ! ხომ წამწყმიდეთო!» ამბობენ, რომ ბეი-ქურთიანი, თურმე ერთმა მოხუცმა სომეხმა ქილირჰიანმა, რომელიც მასთანვეა დატუსაღებული ცრუ მოწმობისათვის, აიძულა აღეარა თავისი დანაშაული და არაქელიანსაც ჩაეთრია, ამ საქმეში თუმცა არაფერი დანაშაული აქვსო, მაგრამ გაჩხრეკის დროს ისეთი წერილები უნახეს მას, რომ ეჭვი მაინც შეიტანეს. გამოძიება ყველაფერს აღმოაჩენს. «მას შემდეგ, რაც სიმართლე ვსთქვიო», ამბობს ბეი-ქურთიანი;—უფრო დამშვიდებული ვარ და საჭმელ-სასმლისა და ძილის მადაც მაქვს, აქნობამდე კი ვიტანჯებოდი და მოსვენება არა მქონდა!.

⁂ **სამ-მანათიანი ოქროს ფული.** უმაღლესს მთავრობას აზრად აქვს ამ ცოტა ხანში გამოსცეს ახალი ოქროს ფული სამი მანათის ღირსებისა, რომელიც ახალის წესდებით შეადგენს იმპერიალის ერთს მეხუთედს.

⁂ **ფოთი-სამტრედიის რკინის გზის შტოზე მიმოსვლის ჟამის შეცვლა,** თანახმად ნიკოლოზ ნიკოლაძის წინადადებისა, როგორც შევიტყეთ, გზათა სამინისტროს უკვე შეუწყნარებია და დაუმტკიცებია კიდეც.

⁂ **ახალი ქართული წიგნი.** ქართულს ენაზე სამეცნიერო წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ „ახალმა მკითხველმა“ უკვე მეხუთე წიგნი მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას. ეს გახლავსთ კუროჩკინის წიგნი: როგორ საზრდოობს მცენარე, ქართულად გადმოკეთებული ბ-ნ ს. გ.-ის მიერ. პოპულიარული სამეცნიერო წიგნები ჯერ-ჯერობით კანტი-კუნტად არის ჩვენს მწერლობაში, ამიტომ მით უფრო სიხარულით ვეგებებით ამ წიგნის გამოცემას, რომელსაც აზრადა აქვს მკითხველს გააცნოს ანატომია და ფიზიოლოგია მცენარისა. წიგნი კარგის ქართულის ენით არის გადმოკეთებული, სამეცნიერო ტერმინებიც კარგადა აქვს გადმოღებული. მხოლოდ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ ერთი რამ, სახელდობრ ისა, რაც «კვალმა», ლამის არის, კანონად შემოიღოს ჩვენს მწერლობაში. ჩვენ მოგახსენებთ ასო ს-ანის ხმარების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში, ზემოდასახელებულის წიგნის გადმომკეთებელი დასართავ სახელს ნათესაობითს ბრუნვაში სახელობითის ბრუნვის ფორმითა სტოვებს, იმის მაგივრად, რომ ან სრულის დაბოლოებით ეხმარა ან და მოკვეცით. მაგალითად წიგნის მე-9 გვერდზე ასეთი ფრასაა: „გარდა ამ ორი გარეგანი ნაწილისა“..... ან კიდევ: „ყოველი მცენარე შესდგება სამი ნაწილისაგან“... ორ-აზროვანობა ამ ორ ფრასაში ნახმარ დასართავ სახელებისა აშკარაა. კანონი ქართულის ენისა-კი მოითხოვს ასე ვსთქვათ: «გარდა ამ ორის (ან ორ) გარეგანის (ან გარეგან) ნაწილისა. ამ კანონს ჩვენში ყურადღებას არ აქცევენ ზოგნი დაუდევრობით და ზოგნიც—უმეცრებით. საჭიროა ბოლო მოეღოს ამ აშკარა უკანონობას, თორემ ჩვენი ენა ისედაც, ლამის არის, სულ გაუკანონოვდეს.

წიგნი სტამბის მხრივ სუფთად არის გამოცემული. 108 გვერდს შეიცავს და ღირს ხუთი შაური.

თანამშრომელი

⁂ **მოვაჭრეები და თავ-გასულობა ნამალადევში.** ქალაქზე თუმცა არა ვართ ძლიერ დაშორებულნი, მაგრამ ყოველივე საჭიროებისათვის ქალაქში ჩასვლაც მოუხერხებელია. ამის გამო მეტად უდიერად გვქცევიან აქაური მოვაჭრეები მუშა ხელოსან ხალხს. ნამალადევში არის ოთხიოდე სამიკიტნო დუქანი, ერთი ყავახანა და ორი მეწვრილმანეც, მაგრამ არც ერთში არ იყიდება ხეირიანი საჭმელი და სანოვაგე. ღვინო ისეთია, რომ კაცს სალებრად გამოადგება და არა დასალევად. კარგია კიდევ, რომ რკინის გზის მაღაზია ახლოა და იქიდან შეუძლიან კაცს რიგიანის სანოვაგის შოვნა, მხოლოდ უბედურება ეს არის, რომ მარტო თავიანთს წევრებზე ჰყიდიან-

იოსებ

⁂ **ს. ასკანა** (გურია). **სარევიზიო ანგარიშს გულით.** 2 თებერვალს ამა წლისა ქ. ოზურგეთის თვით-მმართველობის დარბაზში შესდგა საგანგებო კრება გურიის ამხანაგობის «შუამავლის» წევრთა, სადაც განხილულ იქმნა სხვა და სხვა საგნები, და მასთან, ვინაიდგან ბ. კ. თავართქილაძის წარმოდგენილი ანგარიში კრების წინაშე გასული წლებისა ჯეროვანად არ იყო შემოწმებული, ამიტომ კრებამ აირჩია სარევიზიო კომისია, რომელსაც დაავალა ყოველი ანგარიშის გამოკვლევა 1894 წლიდგან ვიდრე 2 თებერვლამდე ამავე წლისა და ყოველი დაწვრილებითი ანგარიში გაზეთის საშუალებით ან ცალკე წიგნაკებით სარევიზიო კომისიას უნდა ეცნობებია ამხანაგობის ყველა წევრთათვის; მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ მას შემდეგ თითქმის ერთი წელიწადი მიდის, ვათვალიერებ ყველა ნომრებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებისას და შიგ ვკითხულობ მხოლოთ: ამხანაგობის წარმომადგენელი კ. თავართქილაძე დიდს გარჯა მეცადინეობაშიაო, ამხანაგობამ წელს აბრეშუმისაგან ოთხიათასი მანეთი მოიგოვო და დავალებულის სარევიზიო ანგარიშის შესახებ კი ყურსაც არ იბერტყავენ დალოცვილები. ძალიან მაკვირვებს ღმერთმანი მოქმედება სარევიზიო კომისიისა ამ შემთხვევაში! ნუ თუ მართლა იმათ დრო ვერ იშოვნეს ამ ერთის წლის განმავლობაში ანგარიშის შესამოწმებლად? ან რად იკისრეს საქმე, თუ მოცლა არ ჰქონდათ ან თუ იკისრეს, რატომ არ აკეთებენ.

დასასრულ ვსთხოვ სარევიზიო კომისიას, გვაცნობოს მიზეზი ამდენის ხნის მათის სიჩუმისა და ყოველ შემთხვევაში ანგარიშებზე გვაუწყოს რამე!

ნ—ქე

⁂ **ქუთაისი. უბედური შემთხვევა.** ამას წინედ, ეგრედ წოდებულ «ფერმასთან» დასეირნობდნენ ახალგაზდა ოფიცერი და ერთი ახალგაზდა ქალი. გასცილდნენ «ფერმას» და იქვე ტყეში შეუხვიეს. იქ ყმაწვილმა «ნიშანი» დასდვა, ამოიღო ჯიბიდამ დამბაჩა და მისცა ქალს; ქალმაც, თურმე, გულმოდგინედ დაუმიზნა ნიშანს და ჩამოსწია ჩახმახს. დამბაჩა გავარდა და ტყის მეორე მხრიდამ მოისმა საშინელი წივილკივილი; ახალგაზდებიც იქეთკენ გაექანნენ, საიდამაც ყვირილი მოესმათ და ნახეს, რომ «ნიშანი»-ს მაგივრად, საუბედუროდ კაცს მოხვედრია ზურგში ტყვია. საბრალო კაცი ქუთაისის მაზრის სოფ. გუმათის მცხოვრები ბესარიონ დანლაძე, საშიშს მდგომარეობაშია; რა თქმა უნდა არც ის ახალგაზდა ქალი იქმნება კარგს გუნებაზე: მისმა წინ-დაუხედველობამ და გაუფრთხილებელმა იარაღით ცელქობამ შესაძლოა კაცი იმსხვერპლოს. («ნ. ობ.»)

⁂ **დ. აბაშა** (სამეგრელო). **უწეს-რიგობა რკინის გზისა.** ჩვენს რკინის გზის სადგურს კარგა ბლომა სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსთვის, მაგრამ ისე უყურადღებოდ არის დაგდებული, რომ მეტი არ შეიძლება. სადგურის წინ ფარდული გადახურული არ არის და ავდრების დროს მგზავრი გაჭირვებულ მდგომარეობაში არის. იმდენი საზოგადოება და მგზავრი თითქმის არც ერთ მეორე ხარისხოვან სადგურში არ მოძრაობს, როგორც აქ და ძრიელ საჭიროა, რომ ჩვენს სადგურს ყურადღება მიაქციონ და ნაკლულევანება შეუსწორონ.

ამასთან არ შემიძლია ისიც არ მოვიხსენიო, რომ ფოთიდან მომავალი საღამოს მატარებელი, ეგრედ წოდებული „მეოთხე კლასები“, სწორედ სასაცილო სანახავია და თანაც სამწუხარო. ამ სიცივეში მგზავრები, თითქოს ცხენები იყვნენო, ღია ვაგონში არიან,—კარი არ დაიკეტება და მესამე კლასის ფასს კი ახდევინებენ! საჭიროა ამაზედაც ყურადღება იქნეს მიქცეული. ვთხოვ რუსულ გამოცემებსაც, რომ კეთილ ინებონ და ეს შენიშვნა გადაბეჭდონ თავიანთ გაზეთებში, რომ რკინის გზის მმართველობის ყურამდე მიაღწიოს ჩვენმა გოდებამ.

ჩანგი

⁂ **ს. ქვემო-ჭალა** (ქართლი). **მამასახლისის დაკარგვა-პოვნის გამო.** «ცნობის ფურცლის» 376 №-ში გადმობეჭდილი იყო «ტფილისის ფურცლიდან» აქაური მამასახლისის გვამის პოვნა, მაგრამ „ტ. ფ.“ კორესპონდენტს ცოტაოდენი შეცდომა-სიცრუვე მოსვლია, რომელიც გასწორებას თხოულობს. აი საქმე როგორ იყო: ამ 18—20 დღის წინათ (და არა ერთი თვის წინად, როგორც კორესპონდენტი მოგვითხრობს), აქაური მამასახლისი გვარად მანძულაშვილი (და არა მაზარაშვილი) წავიდა ს. პანტიანში (და არა გორში), რომელიც ჭალიდგან 3—ვერსის მანძილზე იმყოფება. ამ სოფელში განსაკუთრებით ოსები სცხოვრობენ. ამ დროს აქ ხარჯები (ქელეხები) ყოფილიყო. ვინ არ იცის ოსების ჩვეულება,—თუ მათ ამ დროს ხელში ჩაიგდეს ვინმე—თუ კარგად არ გამოათვრეს, არ გამოუშვებენ. სწორედ ასრე ექნათ მამასახლისისთვის. კარგა დაეთროთ არაყით (აქ არაყს ყანწებით სვამენ ხოლმე) და გაბრუებული გამოესტუმრებინათ. მამასახლისი წამოსულიყო ძალზე მთვრალი ჭალაში. ამ სოფლის განაპირას სცხოვრობენ გლეხ-კაცები, გვარათ ჰეხაშვილები. მამასახლისი იქ მიეწვიათ და ცოტაც აქაც გადაეკვრევინებინათ. შემდეგ მამასახლისი წამოსულიყო ს. სამთავისში (თვითონაც იქაური იყო), რომელიც ჭალიდგან ერთ ნახევარ ვერსზე იმყოფება. ღვინისაგან გაჟინთებულს მუხლი მოჰკვეთოდა და სამთავისის ვენახების თავში მისძინებოდა. იმ ღამეს თოვლი მოსულიყო და სრულებით დაემალა მამასახლისის გვამი. ასე იდვა მამასახლისი თოვლს ქვეშ 13 დღე. შემდეგ ძმა წავიდა საძებნელად და იპოვა. რადგანაც მიცვალებულს ძალ-დატანების კვალი არ ეტყობოდა, იგი გაუჭრელად დაასაფლავეს. ამ მამასახლისის სიკვდილით საზოგადოებას ვერაფერი საქმე მოუვიდა,—მანძულაშვილმა კარგად იცოდა რუსულ-ქართულად წერა-კითხვა და ლაპარაკი, რაიცა საჭირო იყო მის ხელობისათვის. ეხლა არ ვიცით ვის დააყენებენ მის მაგივრად, მხოლოდ თუ მისი კანდიდატი დააყენეს მამასახლისად, ვერაფერი მამასახლისი გვეყოლება. ეს კანდიდატი, ახალგაზდა კასპელი გლეხ-კაცია, უსწავლელი და გამოუცდელი ასე, რომ იგი ჩვენ ვერ გაგვიწევს სახლის «მამობას».

10

პ. იორამი

⁂ **ს. ბანძა** (სამეგრელო). **გზების უქონლობა.** ვინ უნდა მეცადინეობდეს ჩვენის სოფლის გზებზე? რასაკვირველია, სოფლის მოხელენი, მამასახლისი და მისი თანაშემწე, მაგრამ ამათაც დამხმარებელის გარდა, ბრძანებელიც უნდა და

ბრძანებელი გახლავთ ბოქაული. როცა ბოქაულს გული შესტკივა თავის საბოქაულოზე, მაშინ ყოველივე რიგზე კეთდება და გზებიც ხომ კარგებია. სწორედ ასე გახლავს ოფელ ბანძაში. ეს რვა წელიწადი იქნება, გზები არ შეკეთებულა. დადგება თუ არა შემოდგომის წვიმიანი დღეები, სოფელში გავლა არავის შეუძლიან. ნამეტნავად იმ გზაზე, რომელიც სხვებზე უფრო აუცილებლად საჭიროა მცხოვრებთათვის, მაგალითად: თავ. ბეგლარ ფაღავას ეზოდან დაწყებული ურიების უბნამდე; თუმცა რამდენჯერმე აღვითქვა მაზრის უფროსმა ამ გზის შეკეთება, მაგრამ პოეტის არ იყოს: «სიტყვა სიტყვაა»!.. ეხლა მაინც ამ შემოდგომაზე მოველოდით ქვის მოყრას ამ გზაზე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, სრულებით არ აგონდება ბ-ნს ბოქაულს ჩვენი გასაჭირი და მამასახლისიც, ხომ მოგეხსენებათ, ბოქაულის ბრძანების ყურ-მოჭრილი მონაა!

— **ჭირნახული.** ერთად ერთი ჩვენი სიმდიდრე სიმინდი იყო და ესეც დაეცა, ერთი ფუთი სიმინდი ახალ-სენაკში ჩატანილი 32 კაპეიკი ღირს. ხალხს საშინლად აცრუვდა გული სიმინდის მუშაობაზედ; წრეულს მაინც აღმოსავლეთის ძრიელმა ქარმა ძალიან დააზარალა ნამუშავარი და ჭირნახული ყველაფერში დაანეხვერა.

— **ქურდ-ბაცაცობა.** ღამის რაინდებიც არ გვისვენებენ, რასაც მოასწრობენ იტაცებენ, განსაკუთრებით არ აყენებენ პირუტყვებს, რომლითაც ხალხი საზრდოებს და არჩენს თავიანთ წვრილ ცოლ-შვილს. კარგი იქნება, ადგილობრივი ადმინისტრაცია მიაქცევდეს ყურადღებას და მიიღებდეს რაიმე შესაფერ ზომებს და მით შეამსუბუქებდეს მცხოვრებთა ისედაც მწარე მდგომარეობას, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ქურდ-ბაცაცებმა და ღამის რაინდებმა დრო შეურჩიეს ჩვენს ბოქაულს, რომელიც წინედ თავზარსა სცემდა ყველა ქურდს და ეხლა მოხუცებულობისა გამო ვერ ახერხებს ვერც ცხენით სიარულს ხშირად და საზოგადოდ ვერც იმ მკვირცხლს ყურადღებას, რომელიც ასე ეჭირვება ხოლმე ყოველს საბოქაულოს და განსაკუთრებით ჩვენსას.

კონსტანტინე ფაღავა

*** **ს. ჯუგაანი** (ქიზიყი). **ხალხის სიმდიდრე ჩალის ფასად (თამბაქოზე.)** გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე 336 № გვაცნობებდა მეთამბაქოეთა საყურადღებოდ, რომ დ. გუდაუთში (აფხაზეთში) დიდ-ძალნი თამბაქოს მყიდველნი მოვიდნენ.. ფუთი თამბაქო იყიდება 12—16 მანათად. თამბაქო კარგის თვისებისა მოვიდა და გასავალსაც საუცხოვოს მოელიან! ამ ამბავმა და უმეტეს უკანასკნელმა ამ სიტყვებმა ჩამძახეს მოგახსენოთ ჩვენი სოფლის ვარამი და მით ერთი რამე შევთხოვოთ მთელ-სიღნაღის მაზრის მეთამბაქოეებმა იმას და იქ, ვისი ჯერიც იყოს ამ შეთხოვნის ასრულებისა.

მაგრამ ვიდრე ამოვიოხრებდე ამ ვარამზე, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ მცირედი აღწერა ს. ჯუგაანისა. ს. ჯუგაანი მდებარეობს ცივ-გომბორის მთების ერთ-ერთს ნაწყვეტ კალთაზე, რომელიც გადაქანებულია აღმოსავლეთისაკენ, მდ. ალაზნის ველისკენ. თვით სოფლის მდებარეობა კიბეს წააგავს, როდესაც მას კაცი შეჰხედავს ალაზნის ველიდგან. იგი ბოლოვდება აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხრივ დიდ-ძალი ვენახებით და სახნავ-სათესის მიწებით. ამ სავენახე-სახნავის მიწების ნიადაგი არის მომეტებულ ნაწილად ქვიშნარი, საკმაოდ შეზავებული შავი თიხნარის მიწით, და რამდენიც მდ. ალაზანს უახლოვდებით, ეს ქვიშნარი მიწა ხდება შავს თიხნარად. არის აგრეთვე შიგ და შიგ მიწები, რომელთაც დაჰკრავს მოწითანო ფერი. ჰავა ამ სოფლისა საუკეთესოა სხვა ბევრს მახლობელ სოფლებთან შედარებით. მას შეამკობს ორი პატარა წყარო-მდინარეც. ყოველ-გვარი მოსავალი ამ ზემოხსენებულის მიწებისა დაჯილდოვებულია როგორც რაოდენობით, ესევე თვისებით, მაგრამ უკანასკნელი სჭარბობს პირველს.

საუკეთესო ღვინო დგება ს. ჯუგაანში. იგი აჭარბებს და გადააჭარბებს თვით კარდენახის ღვინოსაც უკეთუ ორივენი ერთს პირობაში იქნებიან დაყენებულნი ღვინის მცოდნე კაცისაგან. ჯუგაანის ღვინო იგივე ღირსებისაა. გარდა ამისა, გაბედვით მოგახსენებთ, რომ ნიადაგი ზემოხსენებულ მიწებისა ზედ მოჭრილი ბუდეა ყველა ძვირფასის და სავაჭრო ხეხილის და მცენარების მოსავლისა, რომ ამ სოფელს საკმაო სარწყავი წყალი ჰქონდეს. ყველა ეს გამოცდილებით ვიცით.

აი ეს ხუთი წელიწადია (თუმცა ამას წინათაც იყო ცდა და მოყვანა) რაც ჯუგაანლებს მოჰყავთ თამბაქო. თამბაქო გვარობს ყველა მაღალი ჯურისა კეობეკი, პლატონი, სამსონი, ტრაპიზო და სხ. და თვისებით თამბაქო გამოდის საუკეთესო ძალღონით გინდათ, ფერით, გემოთი თუ არომატით. ყველა ეს ნათქვამი თამბაქოზე ცარიელ სიტყვათ რომ არ მიგაჩნდეთ, აქ მოვიყვან სიტყვებს ერთი გამოჩენილის და შედარებით სინიდისიანის თვით მსყიდველ მექარხნეს ე—ფ—ისას: როდესაც ვკითხე მეგობრულად, სწორედ ბრძანეთ, რა თვისებისაა ჯუგაანის თამბაქო, მექარხნემ გულ-ახდით მითხრა: სხვა ქვეყნებში თუ იქნება, თორე ამაზე კარგის თვისების თამბაქო კავკასიაში თუმც მოიპოვება, მაგრამ ძნელად და იშვიათადაო. თუ მართლა ჯუგაანის თამბაქო ყოველ მხრივ კარგის თვისებისა არ იყოს, ამას ვაჭარი თავის ინტერესისა გამო არ იტყოდა.

აი ამ თვისების თამბაქოს და ღვინოს გვაძლევს ჩვენი ყურ მიუგდებელი ჯუგაანი, მაგრამ რა გამოვიდა —ფასი? დღევანდელი ფასი როგორც თამბაქოსი, ისე ღვინისა ერთი მეათედაც არ ეთანასწორება მათ ღირსებას და უმეტეს ჩვენი საწყალი ხალხის ჭაპან-წყვეტის შრომას. მიზეზი ამ უფასობისა თქვენ კარგად მოგეხსენებათ: მიზეზია თვით მშრომელ მიმყვანისაგან თავის შრომის და სიმდიდრის დაფასების არ ცოდნა ერთის მხრივ, და მეორეს მხრით ცოდნა და კარგად შეგნება მოვაჭრეთა და მათთან დაკერებულ ჩარჩებისა, რომ გლეხსა სჭირს თავის შრომისა დაუფასებლობა, უპირობა ერთმანერთში, შემაერთებელის ძალის არ შეგნება, სულ წასულობა და ამისთანები.

იგი მაღალის თვისების თამბაქო, ბატონებო (ნუ გიმკიცხავთ ამაზე) რომელსაც მისწევს მარტო მაღალწოდება და დიდ-კაცობა, იგი თამბაქო, ღირებული ადგილობრივ 10—15 მან., დღეს აქ იყიდება 3—5 მან. ფუთი! გაგონილა?

აი ეს არის ჩვენი სოფლის ვარამი და თხოვნაც ის არის რომ თუ გვეშველება რამე, გვიშველეთ თქვენს მადლს! სად არიან ის დიდ-ძალნი მოვაჭრენი გუდაუთისანი? არ შეიძლება როგორმე ხმა მიგვიწვდინოთ? თხოვნაა მიმართული სამეურნეო საზოგადოებისადმი და ამას გარდა აი რასა ვთხოვთ მეთამბაქოებთ: თუ სხვა რამ დაწესებულების მეოხებით არა, ეს მაინც არ მოჰხერხდება, რომ გამოგვეგზავნოს ყოველ ახალის წლის თუ ძველის მოსავლისაგან კერძო პირის თუ მაგ. ქვემო-მაჩხაანის დეპოს სახელობაზე ცოტა რამ ნიმუში სხვა და სხვა მხარის კარგი თვისების თამბაქოსი, მაგ. გუდაუთისა, რომელიც გაყიდულა 12—16 მან. რომ ვიცოდეთ ჩვენ საწყლებმა თუ რომელ ზეციდგან ჩამოვარდნილა ეს გუდაუთის თამბაქო, იქნება გუდაუთას ჯუგაანი სჯობდეს, არა კიდევ ჯუგაანს გუდაუთა, და ამნაირი ნიმუშით ხელ-ვმძღვანელობდეთ თამბაქოს გაყიდვის დროს ჩვენ ხელწასულები და თავ დაუჭერალნი. ამნაირი ნიმუში მოვაჭრესა და ჩვენ მეთამბაქოების წინაშე იქნება საქმედ გარდაქცეული იმ ამბავისა, რომელიც მოქცეული. „ცნობის ფურცლის“ № 335 იგივე ნიმუში გაგვამაგრებს სულ წასულთ.

ი. სოფლელი

*** **დაბა ჭიათურა** (იმერეთი). **უსაქმური ახალგაზდობა.** ეს ორი წელიწადია შესამჩნევლად იკლო შავი ქვის წარმოებამ; ხალხი ძლიერ შევიწროვდა უფულობით; ყურებ ჩამოყრილი დადიან, წინანდელი ქეიფი და დროს ტარება დაავიწყდათ. აყალ-მაყალი და ჩხუბიც თითქმის მოისპო, რადგანაც დალოცვილმა „ნუნუამ“ აიკლო, ამასთანავე მისი მოარშიყეების ჯიბეებში თაგვები ნავარდობენ და, როგორც მოგეხსენებათ, უფულოთ ქეიფს შნო არ აქვს. ზოგიერთ წინანდელ მოქეიფე ყმაწვილებს რომ შეხედოთ დაღვრემილ სახეზედ, გაგეცინებათ, ჭირიან ქათმებივით იფუღებიან, დაეხეტებიან უსაქმოთ და ცუდათ ატარებენ დროს ყავახანებში სხვა და სხვა შესაქცევ თამაშით; არც მიდიან შინ, შეჩერებიან ქვის ფასის აწევას, იქნება ორიოდე გროშიან ძალათი წავართვით ვინმეს, ან ნებითო, მაგრამ ვაი მათი ბრალი, ტყუილი მოლოდინი აქვთ. უმჯობესია თავიანთ სოფლებში წავიდნენ და მამა-პაპურათ თოხსა და ბარს მოჰკიდონ ხელი, თორემ აწი, რომ ისინი ქვაში ფულს აიღებენ, მაშინათვე ხელში გაუდნებათ...

— **სისუფთავე.** სწორედ დიდი მადლობის ღირსია ადგილობრივი ბოქაული ბ-ნი არდიშვილი, რომ დიდ ყურადღებას აქცევს ბაზრის სისუფთავეს.

— **სამკითხველო.** სამკითხველოს დაარსების ნება.რთვა ჰქონია თავიდანვე ბ-ნ ჯიბო იაშვილს, რომელიც ერთ-ხანს ქე ზრუნავდა თავის გამოწვეულ საქმეზედ, მაგრამ იმ დალოცვილს მალე მოეწყინა და დღეს სამკითხველო უპირისუფლოდ ძლივს ბჟუტავს; სამკითხველოს ჰყავდა რამოდენიმე წევრი, რომელთაც დღემდის ფული შემოჰქონდათ, მაგრამ ისინიც შემოეცალნენ; სამკითხველოს საკუთარი სახლი არც კი აქვს, არც კერძო შემოწირულება შემოდის, დახურვას გვიქადის, თუ ყურადღება არ მიაქციეს დროზედ.

— **სკოლა.** ამ წლის 1 ოკტომბრიდან ჭიათურის საეკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებლად დანიშნულია მღვიმის მონასტრის სკოლაში მყოფი მასწავლებელი ბ-ნი ბესარიონ ვაშაძე, რომელიც თავდაუზოგავად და ბეჯითად შრომობს. იმედია ამ უკან დაწეულ სკოლას ფეხზე დააყენებს, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ სკოლის შენობა ყინულზედ სდგას, დღეს თუ ხვალ დაინგრევა და ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგიც მოყვება. ძალიან კარგს ინებებს საზოგადოება, ყურადღებას მიაქცევდეს ამ კეთილ საქმეს და რადგანაც მათი გაკეთებული ყოფილა წინეთ ის შენობა, ეხლაც შეაკეთონ. სირცხვილიც იქნება, რომ ერთ კლასიანი სკოლა ვერ შეინახონ ჭიათურლებმა მაშინ როდესაც ორკლასიან სკოლის შენახვას იქადოდეს, რომ საცოდავი შავი ქვა არ მომკვდარიყო. მართალია ჭიათურა დაეცა და უკიდურესად დაღარიბდა, მაგრამ ერთი საშუალო სოფლისოდენი კიდევ მეტი შეუძლია, თუ კი მოინდომებენ.

— **უეკლესიობა.** არც ერთი დაბა—სოფელი არ არის წირვა-ლოცვას ისე მოკლებული, როგორც ჭიათურა. ჭიათურიდგან ხალხი დაიარება სალოცავად მღვიმის მონასტრის ეკლესიაში, ორი სამი ვერსის სიშორეზედ, მაგრამ ყველას არ ეხერხება იქ სიარული და მრავალი რჩება უწირავ—ლოცავი. ერთხანს დაგდეს ხმა ჭიათურაში ეკლესიას აშენებენო, ხალხი აღტაცებაში მოვიდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

— **უსაფლაობა.** ამასთანავე როგორც ეკლესია, ისე სასაფლაო არა აქვსთ ჭიათურლებს: აქ ერთ მაღლობ ადგილზედ ერთი ძველი მუხა სდგას, სადაც ნასაყდრალს ეძახიან და ვინც მოკვდება უბრალო და ბრალიანი, ყველა იქ იმარხება, ვინ იცის, იქნება მიწა ნაკურხი არ არის?! ცუდი არ იქნებოდა, ერთი სასაფლაო ადგილი შეეყიდათ და ეკურთხებიათ, ეს მაინც ადვილი არის, ვაი ჩვენი ბრალი, რომ ყოველიფერში გავწვრილდით!

აშკარა

*** **დ. ზესტაფონი** (იმერეთი). **ზოგიერთ თავ-აშვებულ მედუქნეთა საყურადღებოდ.** 22 ნოემბერს, ერთ აქაურ მედუქნესთან სახელად ს. ჭ—ძესთან მისულა ვიღაც ახალგაზდა ყმაწვილი ლ—ძე, რომელსაც მოუთხოვია ბიჭისთვის მესამე ხარისხის თამბაქო, ღირებული 6 კაპეიკად, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მისი გაკვირვება, როდესაც 6 კაპეიკიან თამბაქოში შვიდ კაპეიკის თხოვნა დაუწყია, (თუმცა თამბაქოზედაც 6 კაპ. აწერია და კანონის ძალითაც აღკრძალულია მეტ ფასში გაყიდვა.) ბევრი ეხვეწა, თურმე, ეს ყმაწვილი, «მეტი არ გერგება და 6 კაპეიკს დამჯერდიო», მაგრამ ვერა გაუვიდარა (ალბად ჩვეულებად ჰქონია ამ ფასად გაყიდვა) და ბოლოს ყმაწვილმა დაისწრო ორი-სამი კაცი მოწმედ, რის შემდეგ მიმართა იქვე «აქციზის»-ს მოხელეს ბ-ნ დუმბაძეს, რომელმაც შეაყენა საჭირო ოქმი, რომელზედაც ყველა მოწმეებს ხელი მოაწერინა და მათ შორის გამყიდველს და მყიდველსაც... როგორც გავიგე, პირველი მაგალითი არ არის ვაჭრებისაგან ასეთი წრეს გადასული სიხარბე და საჭიროა, რომ ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და თუ-კი ვინმემ დაიჭირა ვაჭარი ასეთს საქმეში იმავ წამს გამოუცხადოს ადმინისტრაციას, რათა შემდეგისთვის ცოტად მაინც აილაგმოს ამ ვაჟბატონების საქციელი. თუ დაბასა და ქალაქებში ასეთს ამბებს სჩადიან, რა დღე დაადგება ზოგიერთ გაქნილ და გაიძვერა ვაჭრისგან სოფლის ხალხს?!.

თავისუფალი

*** **ს. საჭილავო** (სამეგრელო) **ეკლესიის გადატანა თვით ნებობით.** დაბა ორპირი გაუქმების შემდეგ როცა რკინის გზამ განზე დასტოვა იგი, აქ დარჩა ეკლესია, რომელიც დღემდის არსებობდა თავისი კრებულით და მცირე მრევლით. 1895 წლის წყალობის გამო მდ. რიონი დაუახლოვდა ხსენებულ ეკლესიის შენობას და ამისა გამო იგი საშიშ მდგომარეობაში იყო. ეკლესია უნდა გადაეტანათ უშიშარს ალაგას არა მოშორებით ორპირისა, რათა მრევლი არ დარჩენილიყო წირვა ლოცვას მოკლებული. უახლოესი ადგილი იყო ს. ნაჩხეტაური, მაგრამ ნაჩხეტაურს გამოუჩდნენ მეტოქეები დაბა სამტრედია და ს. ნამწერაული. პირველს ის ჰქონდა საფუძვლად, რომ ყოველივე დაშთენილობა გაუქმებულის დაბა ორპირისა მე მაქვს მიღებული და ეს ეკლესიაც მე მეკუთვნისო, როგორც პირმშო მემკვიდრესო, ხოლო მეორე ს. ნამწერაული იმით საფუძვლობდა, რომ ყოველიფერს საშოვარს თავისი დრო აქვსო და ეს დროც ეხლა დაგვიდგაო.

აღიძრა კითხვა უწმიდესის სინოდის კანტორაში და როდესაც სრული გარემოება შეიკრიბა კანტორამ დაადგინა ეკლესია წინდაწინ შეამოწმოს არხიტექტორმა და თუ სცნოს გადატანა აუცილებელ საჭიროთ, მაშინ გადატანილ იქმნას ს. ნაჩხეტაურშიო რაიცა აცნობა გურია სამეგრელოს ეპისკოპოსს სისრულეში მოსაყვანათ მარტის თვეში ამ წლისა. მღვდელ მთავარმა საგუბერნიო მმართველობიდან გამოითხოვა არხიტექტორი და ამ თვის დამლევს ადგილობრივმა ბლაღოჩინმა და სამმა პირმა სოფ. ნამწერაულისამ ორპირის ეკლესიის შენობა დაშალეს და წაიღეს ს. ნამწერაულში, რომელიც ორპირიდან 2 ½ ვერსით მოშორებულია, ხოლო ს. ნაჩხეტაური ½ ვერსზედაა, სადაც უწმინდესმა სინოდმა სცნო კანონიერათ გადატანა ეკლესიისა. ეხლა ხალხს ძალიან უკვირს ეს გარემოება და არ იციან, რას მიაწერონ ესეთი საქციელი.

ონიფანტე თუნთია (ხულევისანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ **ს. მარტვილი** (სამეგრელო). **შემოწირულება და მადლობა.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა უძღვნათ ქ-ნ ლიუდმილა თეიმურაზ ჩახავას ასულს და ბ. თეიმურაზ ივანეს ძე თოფურიას, რომლებმაც მარტვილის უფასო სამკითხველოს შემოსწირეს: პირველმა 9 და 83 კაპ., ხოლო მეორემ—თავის მხრით 15 მანეთი და მასთან მის მიერ შეგროვილი სხვა და სხვა პირებთაგან 85 მან., სულ ასი მანეთი. აი სიაც შემომწირველთა:

ბათომის დამოქნის არტელმა—5 მ., იორდანე ნიკოლოზის ძე გვალიამ—3 მ., ლევან პერტენავამ—3 მ., გამომძიებელმა ბ. პავლე მოსიძემ, გამომძიებელმა ბ. გრიგორ ოგანეზოვმა, აკიფ-ეფენდი ქართოღლიმ, ისიდორე აბზიანიძემ, ლომინაძე და ბერძენიშვილმა—ორ-ორი მანეთი, ვასილ ელიაძემ, რაჟდენ კახიანმა, ბარნაბა ცომაიამ, გრიგოლ ჰიტავამ, დომენტი გაბუნიამ, ვასილ ბებიამ, გიორგი ერქომაიშვილმა, მელქისედეგ კახიანმა, გიორგი ჩხეიძემ, როსტომ გულენიძემ, პეტრე ტრეტიაკოვმა, ნიკო ქვანიამ, მელიტონ გოგორიშვილმა, ნესტორ ჰედიშვილმა, სევასტი ჰელიძემ, მაქსიმე თოფურიძემ, თეოფანე ანჯაფარიძემ, დიმიტრი გუგუშვილმა, ექვთიმე ბერძენიშვილმა, რაჟდენ მაჰავარიანმა, სპირიდონ გურგენიძემ, ივანე გარაყანიძემ, ალექსი შარტავამ, კირილე ჯორბენაძემ, ალფესი ურუშაძემ, მიხეილ დავიდოვმა, ნიკო გულენიძემ, ალექსანდრე ტროფიმოვმა, დავით ზილბერმეისტერმა, იაკოფ პარუმბეგოვმა, ივანე ნეიმანმა, ანდრია ახობაძემ, მიკირტიჩ იგიტხანიანცმა, იაკოფ შტინგაუერმა, გრიგორ დანიელოვმა, ვარდენ წულაიამ, სამსონ წულეისკირმა, ალექსა ხოშტარიამ, ილიანე ქინქლაძემ, ერმილე გეგენავამ, ბახვა ფიფიამ, ოქროპირ გვარამაძემ, ბარის პეშევეროვმა, ამბაკო გოთოშიამ, ფილიპე ფილიპოვმა, ნიკო ცეცხლაძემ, ეფრემ კილურაძემ, მარტინ შათიროვმა და ფარნაოზ ანდღულაძემ—თითო მანეთი. ყარამან ნარაკიძემ 70 კაპ. მიხეილ გალუსტოვმა, ანტონ შუჯირმა, ფისტოფიდ მომ, სარდიონ კაკაბაძემ, ვლადიმირ რუხაძემ, ნიკიფორ ნიკიფორიდიმ, სერგეი იმნაძემ, ანტონ სანაიამ, სერგო საჯაიამ, ბესარიონ გაბელიამ, ნესტორ სიხარულიძემ, პავლე სანაიამ, ფარნა ქიშკარიანმა, ვათა ჩანთლაძემ, იასონ ქაჯაიამ, ალექსანდრე კუზანოვმა, ვანო ვაშაკიძემ, ილიანე ტოკვმა, ნოე ანჯაფარიძემ, სტეფანე კაკაბაძემ, გერასიმე ჰეიშვილმა, ლავრენტი ბერძენიშვილმა, პეტრე ესიავამ, სლადკევიჩმა და ლავრენტი ხუნგიამ—ათ-ათი შაური. ლევან ხეჩინოვმა და გერასიმ ქოქიკაშვილმა—ორ-ორი აბაზი. ყველას ამათ დიდს მადლობას ვუძღვნი და განსაკუთრებით ბ. თეიმურაზ ივანეს ძე თოფურიას, რომელმაც ამ გვარი დიდ საჭიროების დროს აღმოგვიჩინა ეგრეთი თანაგრძნობა. ღმერთმა ინებოს ამ კეთილ მაგალითის მიმბაძველნი კიდევ აღმოუჩნდნენ ჩვენს სამკითხველოს.

გამგე მარტვილის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოისა ლიუბოვ გიორგის ასული გაწერელიასი

შემოწირულება

სტუდენტების სასარგებლოდ

ჩვენ მივიღეთ ოდესის სტუდენტების სასარგებლოდ თეიმურაზ ივანეს ძე თოფურიასაგან—5 მან. წინანდელი იყო (იხ. «ცნ. ფურ.» № 350) 2 მან. 70 კაპ., სულ შესდგა 7 მ. 70 კაპ.

რედაქცია ღებულობს ყოველგვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლიანთ შემოწირულება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. შემომწირველთა სია ყოველთვის დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული.

ვალერ. გუნია.

რედაქციისაგან

—

აცანაში. მრევლთაგანს. თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებლად მიგვაჩნია: ცილი მეტად შეუფერებელია, უკეთესი იქნება, თუ მრევლი საერთოდ მოელაპარაკება მამა სილიბისტრო ჩხაიძეს ეკლესიის შესახებ და რამე საშუალებას გამოსძებნიან მის დასამთავრებლად.

ლანჩხუთში. ნიკიფორე მწვანეყვავილოვს. თქვენი წერილი ხოხის „ბარიშნებზე" არავითარ საზოგადო ინტერესს არ წარმოადგენს და მიტომაც არ იბეჭდება.

უჯარაში. ბნელ კალამს. გორის ინტელიგენციის შესახებ არა ერთხელ დაწერილა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში საყვედური. მართლაც შეუწყნარებელია, დღემდე ვერ მოახერხეს საჯარო უფასო სამკითხველოს დაარსება და ამაზე ამას წინედ ჩვენ გაზეთშიაც იყო წერილი ალ. ალაზნისპირელისა, მიტომ თქვენი წერილი აღარ დაიბეჭდება.

◆

ქალაქის საბჭო

—

გუშინ-წინ, ქალაქის საბჭომ განიხილა წარსულს ორშაბათს გადადებული საკითხი პურის ნიხრის შესახებ. შეიქმნა ისევ განუწყვეტელი კამათი და ბაასი. „მემარცხენენი" ამტკიცებდნენ, რომ ნიხრი შეუცვლელად უნდა დარჩეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რაც უნდა მოუმატოთ მესამე ხარისხის პურს—ღირსება მაინც იგივე ცუდი ექმნება და ჩვენ ფასის მომატებით ვერ ვეღირსებით კარგს პურს, თუ ბეჯითი ყურადღება არ ექმნა მიქცეული მეპურეების თავ-გასულობასაო. ესეც რომ არ იყოს, გამგეობას საკმაო ცნობები არა აქვს ნიხრის დასადებად მოკრებილიო. ზოგიერთები-კი ამტკიცებდნენ—დროა, ეგ საქმე გადაწყდეს: მაღლა ღმერთს და ქვეით დედა-მიწას აწუხებენ მეპურეები საჩივრებით და მათი გოდება სამართლიანიც არისო, უნდა უეჭველად დამტკიცდეს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ნიხრიო. საბჭომ ხანგრძლივის ბაასის შემდეგ დანიშნა პურის ნიხრი (იხილე «ახალი ამბავი»); 1) შემდეგ გამგეობამ დასდო ნიხრი ღორის ხორცზე (იხილე «ახ. ამბავი»); 2) გამგეობის წევრმა ხ. ა. ვერმიშევმა მოახსენა საბჭოს, რომ კუკიაში სადარაჯო კარავი ლამის ჩამოინგრეს და შეკეთებაა საჭირო და ამისათვის 220 მან. ითხოვს გამგეობაო. საბჭომ მცირე ბაასის შემდეგ შეიწყნარა გამგეობის შუამდგომლობა.

3) ბოლოს საბჭომ აირჩია სხვა და სხვა თანამდებობის და კომისიის წევრნი.

◆

სამეცნიერო ცნობა

—

ქონდრის კაცები. არსებობს თუ არა დედა-მიწის ზურგზედ ცალკე ტომი, რომელსაც ქონდრის-კაცები შეადგენდნენ? აი, კითხვა, რომელმაც ერთს დროში მრთელი ნასწავლი თაობა შეაწუხა. ზოგნი უარსა ჰყოფდნენ ამისთანა «განსაკუთრებულს ტომს» და აზიისა და აფრიკის ზოგიერთს ნაწილებში გაფანტულს ქონდრი-კაცებს შემთხვევითს მოვლენას აწერდნენ.

მიუხედავად ამისა ნასწავლ-მკვლევარი ვატფრაჟი ქონდრების «განსაკუთრებულის ტომის» არსებობას ამტკიცებს და თავისს გამოთქმულს აზრს ხუთი-ექვსი გამომკვლევარ-ნასწავლის აზრით ამოწმებს. იმის სიტყვით, ძველს დროში ქონდრის-კაცებს ხუთს ჯგუფად ჰყოფდნენ: ორი ჯგუფი აზიაში იყო გაფანტული და სამიც აფრიკაში. მისივე სიტყვით, აზიაში ეხლაც შეხვდებით ქონდრის-კაცებს, თუმცა ყამთა ვითარებისაგან და უფრო-კი აღრევისაგან (скрещиванiе) ძლიერ შეთხელებულებს და გამოცვლილებს. აფრიკას უფრო წმინდათ და ხელ-უხლებლად შეუნახავს ბუნების მცირე ამანათი.

უნდა გენახათ, რამდენი «თომა მორწმუნის» აღმოჩნდა, როდესაც აფრიკაში მოგზაურებმა შვეინფლურტმა და დიუ-შალიუმ პირველად საყოველთაოდ გამოაცხადეს ქონდრის-კაცების არსებობა!!. ისინი გულდადებით შესასწავლად ევროპაში სამი ქონდრის-კაცი არ მოიყვანეს, ურწმუნოებმა თითი არ მოიკვეს.

ერთ-ერთი კონდრის-კაცების დარგი აკასები ყველაზედ მეტად არიან გამოკვლეულნი და შესწავლილნი; ისინი ცივილიზაციის მხრით ძალიან დაბლა სდგანან სხვა ქონდრის-კაცებზედ. შვეინფურტის სიტყვით, აკასი სიმაღლით 1 მეტრია; (არშინი და ორი გოჯი) თავი რგვალი, ცხვირი განიერი, პირისახე უშნო და პრტყელი აქვთ, თმა ჯაგარ-მაგვარი; წვერი თხელი, მრთელი ტანი შებანჯგვლილი აქვთ ბალნით, მეტი გაიძვერა და ქურდბაცაცა ხალხია. ტანთსაცმელის მაგივრად ფოთლებსა ხმარობენ და საზოგადოდ, «ხორცს არ ანებივრებენ», არავითარს დამახასიათებელს სამკაულს არ იკეთებენ. მუდმივი ბინაც არა აქვთ. ადამიანის მჭამლობა სუფევს მათში, თუმცა ძლიერ სუსტათ.

აწინდელს დროში აფრიკის პიგმეებს (ქონდრი-კაცია) აზიის პიგმეებისაგან არჩევენ: პირველებს «ნეგრილიოსებს» და მეორეებს «ნეგრიტოსებს» უწოდებენ. ეს უკანასკნელები ეხლაც ბლომად არიან მალაიის ჭალაკიდგან მოკიდებული გიმმალაის მთებამდე და ინდო-ოკეანის კუნძულზედ. ამათი საშუალო სიმაღლე სხვა ქონდრის-კაცებისაგან ბევრით არ განირჩევა. ისინი პატარ-პატარა საზოგადოებებს შეადგენენ 25 ან 50 კაცისაგან და ერთს წინამძღოლს ეხელქვეითებიან. ადგილობრივის კანონის ძალით თითო ცოლი ჰყავთ ყველას; საზოგადოდ, ზნეობრივ მხვიდ ხალხს არ ჩამოუვარდებიან. ანდამანის კუნძულზედაც არიან პიგმეები («მინკოპისები») რომელთაც უფრო ხელუხლებლად დაუცავთ მამაპაპეული ზნე-ჩვეულებანი. მინკოპისები დღევანდლამდე უწინდელს ქოხებში სცხოვრებენ და რადგან უცნაურის რწმენის შთაგონებით ქოხში ცეცხლს არასოდეს არ აქრობენ.

ამერიკის შეერთებულს შტატებშიაც ბლომად არიან პიგმეები. ბ. ბელინის სიტყვით, ისინი რაღაც გაუგებარს ენაზედა ლაპარაკობენ; ამ ნასწავლის აზრით, ეს მოვლენა იმას თუ ამტკიცებს, რომ ამერიკელს პიგმეებს და შერჩენიათ თავანდელი ენა.

ზოგიერთა ადგილებში, მაგ. ფლორიდაში და ლუიზიანში ნეგრიტსები უკან-უკან მიდიან: სულ გაგარეულდნენ. რაღაც ბოროტს სულებს აღმერთებენ; მიცვალებულისა ძალიან ეშინიათ, ამიტომ მიცვალებულის გვამს პატარა ნავმაგვარს კუბოში ჩაასვენებენ, ჭაობში შეაცურებენ და იმ ადგილებში აღარ გაიჭაჭანებენ. ნეგრიტსებმა, საზოგადოდ ბევრი მამაპაპეული ზნე-ჩვეულება შეინარჩუნეს: ცოლის შერთვის დროს სანეფოთ ნიშნობის წინადამეს საპატარძლოს სახლის კარებს უეჭველად ხილით სავსე კალათი უნდა მიუდგას; თუ საპატარძლომ ეს კალათი აიღო და სახლში შეიტანა, თანხმობას აცხადებს ამით გათხოვებაზედ. ეს ჩვეულება დღემდე ხელუხლებლადა აქვთ შენახული ამერიკელს პიგმეებს. ეს პაწია კაცუნები მეტის-მეტად არიან დახელოვნებულნი ნადირობაში, თევზაობაში და სხ.

ამ უკანასკნელს ხანებში ამერიკის ერთ ერთს საზოგადოებას კრება ჰქონდა, რომელზედაც განიხილა და გულმხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა გალიბურტონის აზრს მის შესახებ, რომ ზოგიერთი იუკატინის ნანგრევები (შუ-
აგულ ამერიკაში) ქონდრის-კაცების ხე-
ლოვნებას გვიმტკიცებენ. თითქმის ყვე
ლა ამ მხარეებში დღესაც შეხვდებით
პაწია შენობების ნანგრევებს, რომელთ
აშენებელნიც უეჭველად ქონდრის-კ
ცები უნდა ყოფილიყვნენ: მართლადა
და ვის რათ უნდოდა, მაგ. ისეთი პა-
წია ეკლესიები, რომლებშიაც ერთი ჩვე
ნებური ადამიანიც ვერ მოთავსდება?
ამისთანა ნანგრევებს მკვლევარ-ნასწავ-
ლებმა ამ უკანასკნელს ხანებში ბლომა
მიაგნეს ამერიკის სხვა და სხვა კუთ
ხეებში.

სცხოვრებენ თუ არა სამხრეთს ამ
რიკაში პიგმეები, ჯერ საყოველთაო
არ არის გამოცხადებული და დამტკ
ცებული. მგზავრები გვარწმუნებენ, ვ
თომ პიგმეები ბრაზილიაში, ურუგვ
იაში სამხრეთ ამერიკის და სხვა ადგ
ლებშიაც არიან, მაგრამ ჯერ ეს კარ
გათ არ არის გამოკვლეული.

ფიდო გურჯაანელი

◆

წვრილი ამბავი

—

კოლომბოსის ჯამაგირი. ისპანი
ზღვათა სამინისტროს ძველს ქაღა
დებში უპოვნიათ ქრისტეფორე კოლ
მბოსისა და მისთა თანამოგზაურ
ჯამაგირის სია. ამ სიიდამ სჩანს, რო
მეზღვაურს ეძლეოდა თვეში 10—1
ფრანკი და სადილი; გემის უფროს
80 ფრანკი და სადილი, ხოლო თ
თონ კოლომბოსს, რომელიც ისპანი
ადმირალად ითვლებოდა, სულ 16
ფრანკი ეძლეოდა წელიწადში. რა თ
უნდა, ასეთს მცირე ჯამაგირებს
დასჯერდებიან ჩვენი დროის ადმი
ლები!..

—

ცეცხლი ლონდონში. 19 ნოე
ბერს ლონდონში საშინელი ცეცხლ
გაჩენილა. დამწვარა 50 სახლი, მათგა
ბევრი, თურმე, ექვს სართულიანიც იყო
ზარალი თუ მეტი არა 125 მილიონ
ფრანკი მაინც იქმნება. განსაკუთრები
ქარხნები და სავაჭრო სახლები ყოფ
ლა ამ უბანში. ამოდენა ზარალს გარდ
კიდევ 2000 მუშა უსაქმოდ დაუხტ
ბიან, რადგან ქარხნები დაიწვა.

„ივერია"

გამოვა 1898 წელსაც

ივავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ. —
11 „	9 „ 50	5 „	5 . 50
10 „	8 „ 75	4 „	4 . 75
9 „	8 „ —	3 „	3 . 50
8 „	7 „ 25	2 „	2 . 75
7 „	6 „ 50	1 „	1 . 50

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოადგინოს ორი აბაზი.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზე თითო-ჯერ სტრიქონი—8 კაპ.; პირველზედ—16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი, «ივერიის» რედაქცია, ნიკოლოზის ქუჩა, 21

და «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

«ივერიის» ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

Тифлисъ. Редакція „Иверія"

(6—3) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Ноября, 1897 г.

სტამბა ქ. ი. ხელაძის, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია